

ერთი დარტყმა გამარჯვებამდე

ერევანი. "რაზდანის" სტადიონი. 22 ივნისი.

"არარატი" (ერევანი) – "დინამო" (თბილისი) 1:1 (0:0).

"არარატი": აბრამიანი, მარტიროსიანი, აზარიანი, მირზოიანი, მესროპიანი, ანდრეასიანი, ვევორქიანი (მინასიანი), ქეროფიანი, ხალაიქიანი (ს. პეტროსიანი), 6. პეტროსიანი, ლაზარიანი.

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, ქორიძე, ძოძეაშვილი, გ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი), ჩელებაძე.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

გაფრთხილებულია ჩელებაძე.

დუბლიორები – 1:1.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო მატჩისთვის ჩემპიონატის ლიდერებს – "არარატსაც" და "დინამოსაც" სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ. მასპინძლებს აკლდათ ფარსადანიანი, ოგანესიანი და სარქისიანი, ხოლო სტუმრებს – გუცავი, ყიფიანი და დარასელია. ზოგი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშია გაწვეული, ზოგი – ჭაბუკთა გუნდში, ზოგიც – დაშავებულია. თუ საბუღალტრო ენით ვილაპარაკებთ, დეფიციტმა ზუსტი ბალანსი შეადგინა – 3:3, მაგრამ ერთი საქმეა ციფრობრივი ტოლობა და სულ სხვა – სპორტული ძალების შეფარდება. "არარატის" ზემოჩამოთვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელები იშვიათად თუ გამოდიან ძირითად შემადგენლობაში, წლევანდელ ჩემპიონატში სულ თითო–ოროლა მატჩი აქვთ ნათამაშვი და უმთავრესად გუნდის სამერმისო იმედს წარმოადგენენ, გუცავი, ყიფიანი და დარასელია კი თბილისის "დინამოს" ძირითადი ძალაა, რომელიც ტონს აძლევს გუნდის თამაშს. როცა გაკლია თავდასხმის სრული ძირითადი შემადგენლობა და ისიც სტუმრად ჩატარებულ მატჩში, ძნელია ტაქტიკურ გეგმად აირჩიო შემტევი თამაში. ამოსავალ წერტილად აქ დაცვითს ვარიანტს უნდა მიმართო და სავსებით სწორი იყო დინამოელთა ხელმძღვანელობა, როცა სწორედ ეს ტაქტიკური ხერხი აირჩია.

პირველი 8-10 წუთის მანძილზე თანაბარი თამაშის მერე ერევნელებმა თანდათან, მეთოდურად მოიპოვეს უპირატესობა, საფუძვლიან იერიშზე გადავიდნენ და საქმე იმაზე მიდგა, გაუძლებდა თუ არა დინამოელთა დაცვა იმ მძლავრ შეტევას, რომელიც მეტოქეს დაცვითი ხაზების მოთმაშებიც სისტემატურად და აქტიურად მონაწილეობდნენ. საჭირო იყო ზუსტი, მოფიქრებული ურთიერთდაზღვევა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, შეუცდომელი რეაგირება მოპირდაპირე მხარის ყოველ მანევრზე, კონტროლი თითოეულ მოთამაშეზე და "დინამოს" დაცვამ ეს ძალიან რთული ამოცანა ბრნყინვალედ შეასრულა. დავიწყოთ იმით, რომ ძოძეაშვილმა საუცხოოდ გაართვა თავი პერსონალურ დავალებას – "არარატის" მთავარი გამთამაშებელი ფეხბურთელის ანდრეასიანის პერსონალურ "ლიკვიდირებას". რამდენადაც გვახსოვს, ანდრეასიანს თითქმის არაფერი შეუსრულებია ლიდერის ფუნქციებიდან, იგი საიმედოდ იყო ჩაკეტილი ძოძეაშვილის მიერ.

არანაკლები როლი ითამაშა მ. მაჩაიძემ შუა მინდორში. მის ინდივიდუალურ მოქმედებას, ბურთის ხანგრძლივ ტარებას, დრიგლინგს ცრცელ ტერიტორიაზე ამჟერად გუნდის ინტერესებისთვის ბრძოლის ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან დროის

მოგებას ამ შემთხვევაში დაცვისთვის საშუალება უნდა მიეცა მოეკრიბა ძალა, სწორად განლაგებულიყო მეტოქის შეტევისას. მ. მაჩაიძე წარმატებით ებრძოდა არა ერთ, არამედ რამდენიმე მოწინააღმდეგეს, მისი სოლური ნომრები დიდ სიძნელეებს უქმნიდა ერევნელებს.

შესანიშნავად ითამაშეს კრიტიკულ ვითრებაში გოგიამ, ხიზანიშვილმა, ჭელიძემ, ხინჩიგაშვილმა, მუჯირმა, დიდი შრომა გასწიეს ქორიძემ, ჩივაძემ და სხვებმა. მიუხედავად დიდი ტერიტორიული უპირატესობისა, მასპინძლებმა ვერაფერს მიაღწიეს პირველ ტაიმში.

შესვენების შემდეგ კარგად ჩაერთო თამაში კოპალეიშვილიც, რომელმაც რამდენიმე საიერიშო კომბინაცია გაითამაშა თავის პარტნიორებთან.

ამ უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში 77-ე წუთამდე, როცა "არარატმა" მაინც შეძლო გოლის გატანა. მარცხენა ფრთაზე გათამაშებული ბურთი მიიღო მინასიანმა და ძლიერად, ზუსტად დაარტყა. გოგიას თავგანწირულმა ნახტომმა ვერ უშველა საქმეს.

77 წუთს იცავდა თავს "დინამო", დარჩენილი იყო 13 წუთი, ამ მიკლე დროში გუნდს მკვეთრად უნდა შეეცვალა თამაშის გეგმა, ესენა წაგებული მატჩი. და თბილისელები გადავიდნენ გადამწყვეტ იერიშზე. წინ გადაინაცვლეს ნახევარმცველებმა, მათ შეუერთდნენ მცველებიც, რომელთვანაც ერთ მომენტში აბრამიანთან პირისპირ გავიდა მუჯირი. მეკარე ფეხებში ჩაუწვა მუჯირს, კარი გადარჩა.

85-ე წუთზე რამდენიმე დინამოელი შეიჭრა ერევნელთა საჯარიმო მოედანზე, ქორიძის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ძელს, დაბრუნდა უკან და აქ წამით ლიად დარჩა ჩელებაძე – 1:1.

ქულის გადარჩენის საქმე თითქოს მოგვარებული იყო, თბილისელებს შეეძლოთ კვლავ ჩაკეტილიყვნენ საკუთრ ნახევარზე, მაგრამ ამ 5 წუთის განმავლობაში მასპინძელთა კართან შეიქმნა ორი მომენტი, როცა "დინამო" ერთის ნაცვლად 2 ქულის აღებაც რეალურად შეეძლო. პირველ შემთხვევაში აბრამიანმა მიუსწრო მასთან პირისპირ დარჩენილ ჩელებაძეს და აიღო ბურთი, მეორედ კი მოხდა ნამდვილი საფეხბურთო კურიოზი: ერევნელთა მეკარემ დატოვა თავისი საჯარიმო მოედანი, შეა მინდორში ააცილა ბურთს ფეხი, ამ დროს წინ გაიჭრა ჩელებაძე და მას უკვე აღრავინ უშლიდა ხელს – გამოდევნებული მცველი დიდი მანძილით იყო ჩამორჩენილი. ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო დარჩენილ დინამოელს, რასაკვირველია შეეძლო გოლის გატანა, მან კი ეს ვერ შეძლო და რამდენიმე მეტრიდან ააცდინა მიზანს ბურთი.

რ. ქორიძე.

"ლელო", 24 ივნისი, 1976 წ.